დამტკიცებულია შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის №გ23-23 ბრძანებით

დანართი №1

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლაში
მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი

მუხლი I. რეგულირების საგანი

1.ეს წესი განსაზღვრავს შპს გურამ დოჩანაშვილი საერთაშორისო ქართულ სკოლაში (შემდგომში – სკოლა) მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა და პირობებს;

2. წესი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ, 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ და 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ-ის ბრძანებების საფუძველზე.

მუხლი 2. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა პროცედურა და ეტაპები

1. სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს სკოლაში პირველ კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის ეტაპების ვადებს, გასაუბრებაში მონაწილე პირებს, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, რეგისტრაციის პროცედურას.

2. პირველ ეტაპზე სკოლის დირექტორი ესაუბრება მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მისიის, ღირებულებების, სწავლების, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობებისა და ხელშეკრულებების პირობების თაობაზე.

3.მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, მეორე ეტაპზე ინიშნება მოსწავლესთან გასაუბრება, როცა მოწმდება მოსწავლის სასკოლო მზაობა: ფსიქო-ემოციური, სოციალური და ქცევითი მდგომარეობა, მოტორული უნარები. გასაუბრებას ესწრებიან სკოლის დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი/დამრიგებელი.

4.სკოლის პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მიერ ელექტრონულად, ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, განათლების და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

5. პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციის შემდგომ სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

6. რეგისტრაციის გავლის შემდგომ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია განსაზღვრულ ვადაში სკოლაში წარმოადგინოს აუცილებელი დოკუმენტაცია.

7. სკოლის დირექტორი აქტით განსაზღვრავს პირველ კლასში სკოლაში წარმოსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას.

8.ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში თანხმობას/უარს კერძო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ გასცემს რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა.

9. განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია სკოლის დახმარებით გააუქმოს რეგისტრაცია მართვის სისტემის მიერ რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური კოდის გამოყენებით და ამავე ვადაში განახორციელოს ხელახალი რეგისტრაცია.

მუხლი 3. სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვა- მოსწავლის მობილობა

1. მობილობის უფლება აქვს მოსწავლეს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე.

2. დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

3. მობილობა დაუშვებელია:

ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე.
ბ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს ,,ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტითი განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე გვიან. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
გ) სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
დ) მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.
4. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ის ტერიტორიული ორგანო – ვაკის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა, უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის მობილობის თაობაზე.
5. სკოლა უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.
6. სკოლას არ აქვს უფლება მოსწავლე ჩარიცხოს იმ კლასში, რომელიც უკვე დაძლეული აქვს.

მუხლი 4. მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები
1. სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით, ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობას.
2. მობილობის პროცესში მონაწილე მხარეები:
ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადმოდის მოსწავლე;
ბ) სკოლა-შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთოშორისო ქართული სკოლა
3. მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მობილობის შესახებ წერილობით მიმართავს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლიდანაც გადადის მოსწავლე და სკოლას-შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთოშორისო ქართული სკოლას.
4. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის/განცხადების საფუძველზე, სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ავსებს მობილობის მოთხოვნის ელექტრონულ ფორმას.
5. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლა მობილობის მოთხოვნის ელექტრონულ ფორმას თან ურთავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას.
6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას.
7. ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, უზრუნველყოფს მოსწავლის ამორიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას.
8. მობილობის ელექტრონული მოთხოვნის უარყოფის შემთხვევაში, პროცესი წყდება.
9. მობილობის ელექტრონული მოთხოვნის უარყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წერილობითი ფორმით აცნობოს დასაბუთებული უარი მოსწავლის მობილობის ფორმით გადაყვანის თაობაზე.
10. მობილობის ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას და მობილობის პროცესის დასრულებას.
11. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით სკოლაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე დადგინდება, რომ ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლაში გადასვლის სურვილი მიმდინარე კალენდარული კვირის განმავლობაში გამოთქვა 50-მა ან მეტმა მოსწავლემ, სკოლა უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მოითხოვოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოსწავლეთა მობილობის განხორციელება, რისთვისაც წერილს თან უნდა დაურთოს

მობილობის მსურველი მოსწავლეების სახელობითი სია (ელექტრონული სახით), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანხმობა, რომლიდანაც გადადიან მოსწავლეები და მათი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ამორიცხვის შესახებ ბრძანება, ასევე – სკოლაში მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ ბრძანება.
12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოსწავლეების მობილობას სკოლაში, რის შემდეგაც სკოლა გადაანაწილებს მოსწავლეებს შესაბამის კლასებში/პარალელებში.
13. პირის, რომლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 51 პუნქტის შესაბამისად.
14. სკოლა ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ამ მოსწავლის/მოსწავლეების ჩარიცხვის თაობაზე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/აქტები ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
15. სკოლა, პირველ კლასში ჩარიცხვის ან სხვა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებიდან სსსმ მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ-ის ბრძანებით.

მუხლი 5. სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობა წინამდებარე წესის შესრულებაზე
1. სკოლაში, გარდა პირველი კლასისა, ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 6. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა
1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:
ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;
ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;
გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;
დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩაერთვება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, განახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების

მდგრადობის შესაფასებლად.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აქტი და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
7. სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა
1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მომართოს სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.
2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.
3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.
4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.
5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება
1. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება გულისხმობს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას.
2. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მომართავს სკოლას და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებული მიზნით.
3. დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა ადგენს მოსწავლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან. დასკვნაში სკოლა მიუთითებს პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილ საგნებს, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.
4. მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის მიერ შედგენილი დასკვნით მიმართავს ცენტრს, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი პროცედურებით და ადმინისტრაციული

წარმოების დასრულების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე:
ა) აღიარებს უცხოეთში მიღებულ განათლებას;
ბ) უარს ამბობს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე.
5. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით მომართოს სკოლას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას. სკოლაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში).
6.მოსწავლე სკოლაში ირიცხება განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.
7. პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით.
8. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლემ ვერ შეძლო გათვალისწინებული საგნების დაძლევა სასწავლო წლის დასრულებამდე, სკოლა არ არის უფლებამოსილი მოსწავლე გადაიყვანოს მომდევნო კლასში.
9. სკოლას უფლება აქვს, მოსწავლე, რომელიც 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ ახერხებს უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიღების გაგრძელებას და გამოხატავს სურვილს, რომ სწავლა გააგრძელოს საქართველოს სკოლაში, ჩარიცხოს იმ კლასის შესაბამის კლასში, რომელშიც აღნიშნული პირი სწავლობდა უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 2022 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირზე არ ვრცელდება, ამ წესით გათვალისწინებული, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებისათვის დადგენილი რეგულაციები.
10. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის მიზნით, საკმარისია ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის სწავლის ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიყალბე, სკოლის გადაწყვეტილება სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბათილია მისი ძალაში შესვლის დღიდან.
11. იმ მოსწავლეების განათლების აღიარების მიზნით, რომლებიც ვერ ახერხებენ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დადასტურებას, ცენტრი ატარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებას და შედეგებს აცნობებს სკოლას. თუ ამ წარმოების შედეგად ვერ დადასტურდა პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტი, მოსწავლეს შეუძლია უფლებამოსილია საგნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე

1.ამ წესში მითითებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე და მონაცემების დროულად ასახვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.